

ახალი საკანონმდებელი

№323 (15), 27 ივნისი, 2016 წ.

დაუბრუნებელი ტახტის ცენტრალური გზის მოსაფლავების საპროექტო წინადადება მოიხსენიეს



14 ივნისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა. სხდომაზე დეპუტატებმა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქართველოს საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით სააგენტო მასალების გამოსაფლავად ადგილის გამოყოფის შესახებ იმსჯელეს. საკრებულოს წევრებმა ასევე ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2015 — 2017 წლებში რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხაში ცვლილების შეტანის თაობაზე ისაუბრეს. კერძოდ, როგორც გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა, მალხაზ ფხალაძემ, განმარტა, რეგიონული განვითარების ფონდში წარსადგენად მზადაა ზვარის ახალგაზრდული ბანაკის, სალანძლოს საბავშვო ბაღისა და ლახუნდარის სასოფლო გზის რეაბილიტაციის პროექტი.

„იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციიდან მოითხოვეს, წარგვედგინა ის პროექტები, რომლებიც მზადაა და დაფინანსებას ელოდება. ჩვენ ლახუნდარის ცენტრალური გზის პროექტზე არ გვაქვს საკრებულოს თანხმობა. სწორედ ამიტომ შემოვიტანეთ ეს საკითხი და მხარდაჭერას ველოდებით. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები პროექტის მიხედვით 2.7 კილომეტრზე უნდა განხორციელდეს, რომლის საფარად ღირებულება 640 ათასი ლარია. არის იმედები, რომ რეგიონული განვითარების ფონდიდან დამატებით გამოიყოს თანხები. ჩვენ უნდა მივანდობოთ რამდენიმე პროექტი სამხარეო ადმინისტრაციას და სამინისტრო გუბერნიასთან ერთად შეარჩევს იმ პროექტს, რომელიც ამ ეტაპზე უფრო პრიორიტეტულია,“ - აღნიშნა მალხაზ ფხალაძემ.

საკითხთან დაკავშირებით გან-

ცხადება გააკეთა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, და დასძინა, რომ ლახუნდარის გზის რეაბილიტაცია მნიშვნელოვანი პროექტია და სოფელში ამის საჭიროება ნამდვილია. ვარლამ ჭიპაშვილი სოციალურ ქსელში გავრცელებულ ცრუ ინფორმაციასაც გამოეხმაურა.

„სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოსდა მუნიციპალიტეტის გამგეობის არასწორი მუშაობის შედეგად დაყოვნდა სალანძლოსა და დიდგაკის საბავშვო ბაღების მშენებლობა. მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის კონკრეტული მენარმე ადგენს და არა გამგეობა. სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელი ამ დოკუმენტაციაზე. ხარაგაულში არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები თავს ინონებენ, რომ ეს მათი დამსახურებაა. სალანძლოსა და დიდგაკის საბავშვო ბაღების მშენებლობის შეფერხებასთან დაკავშირებით კი ხელს გამგეობისკენ იშვერებ და მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავთ. არიან მუნიციპალიტეტები, რომლებსაც პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატები არ ჰყავთ, მაგრამ იქ საბავშვო ბაღებიც შენდება და გზებიც კეთდება. საინტერესოა, ხარაგაულის მაჟორიტარ დეპუტატს რა „სასწაულმოქმედი ჯოხი“ აქვს ასეთი, რომლის დაქვევითაც ყველაფერი კეთდება, ხოლო, როცა პრობლემა ჩნდება, დამნაშავე თურმე გამგებელია. ბაზალეთის

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ბრალდება - ხარაგაულის ადგილობრივი თვითმმართველობის მისაბარით - უსაფუძვლოა

პაატა ბურჭულაძის პოლიტიკურ მოძრაობაში ხარაგაულში საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვასა და საექსპორტო კორუფციულ გარიგებებზე საუბრობენ. როგორც 21 ივნისს გამართულ პრეს-კონფერენციაზე ხათუნა ლაგაზიძემ განაცხადა, ხარაგაულის რაიონში ადგილობრივი ხელისუფლება საბიუჯეტო სახსრებს ფლანგავს და ინფრასტრუქტურულ პროექტებს გამარტივებული წესით რამდენიმე დღის წინ შექმნილი კომპანიებს აძლევს, „რაც კორუფციული გარიგებების საფუძვლიან ეჭვს აჩენს“.

განცხადებაში საუბარია ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვითაც ხარაგაულში 8 ქუჩის რეაბილიტაცია უნდა მომხდარიყო. აღსანიშნავია, რომ ამავე ქუჩებზე სამუშაოების შესასრულებლად ხელშეკრულება კომპანია „ჯი-აი-დი-სა“ და წინა მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარეს, აკაკი მაჭავარიანს, შორის, რომელიც იმ დროისათვის ხელშეკრულებაზე ხელისმომწერი უფლებამოსილი პირი გახლდათ, 2013 წელს დაიდო. განმარტავთ, რომ 2013 წლის 10 სექტემბერს შპს „ჯი-აი-დი-სა“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის წინა მოწვევის საკრებულოსთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში დაბა ხარა-

გაულში 8 ქუჩის კაპიტალური შეკეთება მოახდინა. მათ შორის, თენგიზ ჭიპაშვილის ქუჩაზე 735 კვ.მ - ზე რიყის ქვაფენილი მოეწყო. სამუშაოები პროექტის მოთხოვნების სრული დაცვით ჩატარდა. ვინაიდან აღნიშნული ქუჩა რთული რელიეფის გამო, ძირითადად, ფეხით მოსიარულეთა გადასადგინებლად გამოიყენება, მოსახლეობის მხრიდან გაჩნდა გარკვეული პრეტენზიები ქვაფენილზე არაკომფორტული გადაადგილების გამო. სწორედ მათი მოთხოვნით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სხვა ქუჩებზე შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული ეკონომიით, აღნიშნულ ქუჩაზე ბეტონის საფარის დაგება მინიმალური დანახარჯებით მოახდინა. მართალია, გარკვეული დამატებითი ხარჯები გაიწია, მაგრამ, საერთო ჯამში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული 8 ქუჩის რეაბილიტაცია მთლიანი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხებს არ გასცდენია. სწორედ, აქედან გამომდინარე, განცხადება საბიუჯეტო თანხების გაფლანგვასთან დაკავშირებით აბსურდული და უსაფუძვლოა.

ხათუნა ლაგაზიძის განცხადებას სოციალურ ქსელში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, ეხმაურება.

„პირველ რიგში, ასეთი „სპექტაკლების“ რეჟისორებს შევხსენებ, რომ კორუფცია არის საჯარო მოხელეთა ისეთი ქმედება, როდესაც ხდება მიღებული ნორმებიდან გადახვევა პირადი გამორჩენის მიზნით.სად იკვეთება აქ პირადი გამორჩენა?! ის, რომ „ეკონომიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროინდელმა საკრებულომ სწორად ვერ გათვალა თავდაპირველად — პროექტის მიზანშეწონილობა, სხვა ტექნიკური საკითხები და ამის გამო უკმაყოფილო მოსახლეობის დასაბუთებული მოთხოვნების შემდგომ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა რომ გააფორმა ახალი ხელშეკრულება, რომლითაც შეისყიდა არსებული გარემოების შესაბამისი ტექნიკური სტანდარტების პროექტი?! (ამ პერიოდის კანონმდებლობის მიხედვით შესყიდვის უფლებამოსილება გამგებელს მიენიჭა) ესაა პირადი გამორჩენა?! როგორც ჩანს, მოსახლეობის ცხოვრების უკეთეს პირობებზე ზრუნვას თქვენ მიიჩნევთ კორუფციად, გაფლანგვად და უხარისხო სამუშაოების შემსყიდველ ჩინოვნიკებს — თქვენს კარისკაცებად...“

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი უარაინაში ეპროუპირისა და ეპროვის საჭოს მიერ ორგანიზებულ სემინარს დაესწრო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, უკრაინაში, ქალაქ კიევში, ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში კობა ლურსმანაშვილი ქართველ კოლეგებთან ერთად ეპროკავშირისა და ეპროვის საბჭოს მიერ 2015-2017 წწ. პროგრამული თანამშრომლობის (PCF) ფარგლებში სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდოვის, უკრაინისა და ბელარუსისთვის ორგანიზებულ სემინარებს დაესწრო. სემინარი სახელწოდებით „საზოგადოებრივი ეთიკა ადგილობრივ დონეზე - ხედვებიდან მოქმედებამდე“ ეპროვის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მიერ „ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციონალური საფუძვლების გაძლიერების“ თემატური პროგრამის ფარგლებში იყო ორგანიზებული, რომელიც დემოკრატიის საკითხების გენერალურ დირექტორთან ერთად ხორციელდებოდა.



სემინარის სამუშაოების ძირითადი მიმართულება გამგებლებისა და მერების ინფორმირების დონისა და საჯარო პოლიტიკაში უფრო მაღალი ეთიკური სტანდარტების დამკვიდრების მზაობის გაზრდა გახლდათ.

შეხვედრებზე ქართველმა და ეპროპელმა კოლეგებმა ერთმანეთს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების ეთიკური პოლიტიკის განვითარების გზების გამოცდილება გაუზიარეს.

სემინარებზე ასევე განხილულ იქნა საბიუჯეტო სახსრების განაწილების პრინციპები. აქცენტი გაკეთდა სახელმწიფო შესყიდვებზე, როგორც მნიშვნელოვან დარგზე, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ხარისხის ამაღლების მიზნით უნდა განვითარდეს.

სემინარები 21 ივნისს დაიწყო და 23 ივნისს დასრულდა.

ხარაგაულის სოფლებში გაზიფიცირების სამუშაოები დაიწყო



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში გაზიფიცირების სამუშაოები დაიწყო. პირველ ეტაპზე ბუნებრივი აირით უზრუნველყოფილი ბაზალეთის, ახალსოფლის, ჩხერისა და თეთრწყაროს მოსახლეობა იქნება.

მუნიციპალიტეტის გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის, ინფორმაციით, დაპირებები, რაც კი „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გაცხადა, სრულყოფილად ხორციელდება. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების პროექტი წარმატებით მიმდინარეობს. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანია ჩვენი მოსახლეობისათვის. მათთვის ეს დიდი შეღავათი იქნება. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ სოფლებზე არ გავჩერდებით. უახლოეს მომავალში სამუშაოები ლაშქა და კიცხში დაიწყება. ნელსე ჩვენ ვგეგმავთ, დამატებით ისლარიფარცხნალისა და ჯაფარელის გაზიფიცირებებზე ვიმუშაოთ.“ - აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

გაზიფიცირების სამუშაოებს ხარაგაულში „სოკარ-ჯორჯია გაზის“ კონტრაქტორი ფირმა „ინტერგაზი“ შეასრულებს. მაგისტრალის მოსაწყობად საჭირო ყველა ინვენტარი ხარაგაულში უკვე შემოტანილია.

აპა შავიძე

ხარაგაულის №2 საბავშვო ბაღში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა

ხარაგაულის №2 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. გარემონტდა სასწავლო და საძინებელი ოთახები. შეიცვალა იატაკი, ჭერი, დამონტაჟდა მეტალოპლასმასის კარ-ფანჯრები, მონესრიგდა სველი ნერტილები, მოხდა



გაგრძელება მე-2 გვერდზე

ლახუნდარის ცენტრალური გზის მოსაფლავების სპროექტის წინადადება მოიხრევა

დასაწყისი პირველი გვერდზე

გზის მოსაფლავებაზე ადგილობრივებმა ჩემ მიმართ მადლიერება რომ გამოხატეს, საკრებულოს თავმჯდომარემ თქვა: „ამას აკეთებთ ხელისუფლება, აქ ბაზალტის მასალის არაფერ შუაშია“. ახლა კი, ჩემდა გასაოცრად, მარტისის გზის მოსაფლავება თურმე მათი მასშტაბით დეპუტატის, ინგა მალრადის, დამსახურებაა და მადლობა მას უნდა გადავუხადოთ. ნამდვილად არ მწყინს, პირიქით, ჩემი კოლეგის წარმატება მისარია, მაგრამ მიკერძობული საუბარი და მხოლოდ საკუთარი თავის წარმოჩენა კარგი არაა და ამ პროექტის განხორციელებაში ინგა მალრადის წვლილს, საერთოდ, ვერ ვხედავ. სოფელ ნიფაზე მალრადისი დასახლების სტატუსის მინიჭების თაობაზე ნოდარ ებანოძე აცხადებს, რომ ამ საკითხზე კარგად იმუშავა მთის საბჭოსთან. მთის საბჭოს წევრია და თუ საკითხი განიხილა, ეს მისი ვალდებულებაა. არადა, მუნიციპალიტეტის გამგებელს რომ კომპეტენტურ სამინისტროებში წერილები არ დაეგზავნა, სტატუსის მინიჭება ვერ მოხდებოდა. მასშტაბით დეპუტატის ინსტიტუტი ნამდვილად დიდი ზეგავლენა ცენტრალურ ხელისუფლებაში. სამწუხაროდ, ხარაგაულში ეს ინსტიტუტი არ მუშაობს. დღეს თუ რამე კეთდება ხარაგაულში, ლომის ნილი მუნიციპალიტეტის გამგებელს, კობა ლურსმანაშვილს, მის გუნდს და „ქართულ ოცნებას“ მიუძღვის“, - განმარტა დეპუტატმა ვარლამ ცხინვალიძემ.

ლახუნდარის ცენტრალური გზის მოსაფლავების სპროექტი წინადადება დადებითად შეაფასა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, მანანა ბარბაქაძემ და მან

ასევე ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში კულტურის ცენტრის რეაბილიტაციაზე გაამახვილა ყურადღება. მიხედავად თქმით, შენობა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია და სასწრაფოდ საჭიროებს შეკეთებას.

საკრებულოს თავმჯდომარე, ინგა მალრადი, სტიქიის შედეგად დაზარალებულ გზების მდგომარეობით დაინტერესდა და იკითხა, ხომ არ მოხდება სარეზერვო ფონდიდან ამ მიმართულებით თანხის გამოყოფა.

მალხაზ ფხალაძის განმარტებით, შესაბამისი დოკუმენტაცია გუბერნიაში გაგზავნილია, რათა სამინისტროსთან შუამდგომლობა გაგვიწიონ სტიქიის შედეგად დაზარალებული გზების შეკეთების დაფინანსებაზე. გარდა ამისა, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის თქმით, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მოხდება ყველაზე რთული მონაკვეთების რეაბილიტაცია.

„სანავი უკვე შექმნილია და გრეიდერი მუშაობას უახლოეს დღეებში დაიწყებს. ამ ეტაპზე იმ გზების შეკეთება მოხდება, სადაც ყველაზე საგანგაშო მდგომარეობაა. ეტაპობრივად ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს მოვიცავთ და პრობლემები, რომელიც გზებთან დაკავშირებით არსებობს, აღმოიფხვრება“, - დასძინა მალხაზ ფხალაძემ.

საბოლოოდ, დეპუტატებმა ლახუნდარის ცენტრალური გზის 2,7 კილომეტრიანი მონაკვეთის მოსაფლავების სპროექტი წინადადება მოიხრევა და დადებითად შეაფასეს. შეგახსენებთ, რომ პროექტის საგარეულო ღირებულება 640 000 ლარს შეადგენს.

თამარ მალრადი

მესხიშვილის თეატრის სცენაზე ხარაგაულის სახალხო თეატრის დასმა სპექტაკლი „სათაგური“ წარმოადგინა



თეატრალური ფესტივალი „თეატრალური იმერეთი 2016“ გრძელდება. ფესტივალის ფარგლებში, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე ხარაგაულის სახალხო თეატრის დასმა სპექტაკლი „სათაგური“ წარმოადგინა.

სპექტაკლი „სათაგური“ ერთი ქართველი გლეხის სახლის სხვენზე მომხდარ ფანტასტიკურ ისტორიას მოგვითხრობს. კერძოდ, სათაგურში გამოწყვედილი თავისი გადარჩენისათვის თავგანწირული მეგობრების შესახებ.

წარმოდგენის მიზანს ნებიმიერი ასაკის მაყურებლისათვის დადებითი განწყობის შექმნის გარდა, იმის სწავლაც წარმოადგენს, როგორ უნდა დავდგინო მხარში ერთმანეთს ადამიანები. ეს ამბავი საუკუნეზე მეტი ხნის წინ უამბო ბავშვებს დიდმა ქართველმა მწერალმა ვაჟა-ფშაველამ.

სპექტაკლის რეჟისორის, ირინე ჩხეიძის, თქმით, იმერეთის თეატრალური ფესტივალისთვის ხარაგაულის სახალხო თეატრი მთელი წლის განმავლობაში ემზადებოდა.

„მთელი წლის განმავლობაში ვემზადებით ამ ფესტივალისთვის. ვნახულობთ სხვა სპექტაკლებს და ვიზიანდებით ამ ფესტივალისთვის. ვნახულობთ სხვა სპექტაკლებს და ვიზიანდებით ამ ფესტივალისთვის. ვნახულობთ სხვა სპექტაკლებს და ვიზიანდებით ამ ფესტივალისთვის.“

ფესტივალი „თეატრალური იმერეთი 2016“ 20 ივნისს დაიწყო. 7 ივლისს ჩათვლით მაყურებელს იმერეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის თეატრის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების ნახვის საშუალება ყოველდღე ექნება.

აპა შავიძე

ბრალდება - ხარაგაულის ადგილობრივი თვითმმართველობის მისამართით - უსაფუძვლოა

დასაწყისი პირველი გვერდზე

თავდაპირველი პროექტის დროს შესყიდვის პროცესში საკრებულოს თავმჯდომარეს გააჩნდა. ეგ პროექტი თუ უხარისხო იყო, რატომ შეისყიდა? რატომ ჩაიბარა სამუშაო? თუ პირადად მას ვერ ეკითხებით, შორს არ დაგჭირდებათ ნახვლა, მიბრძანდით თქვენი პარტიის ხარაგაულის რაიონულ ოფისში და ჰკითხეთ ნაციონალურ დროინდელ წინა მონვევის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეებს, ბატონ ბესო ჩუბინიძესა და ქალბატონ ნინო ფხალაძეს, რომლებიც საკრებულოს თავმჯდომარის „მარჯვენა ხელს“ წარმოადგენდნენ რაიონის „აყვავებაში“. საინტერესოა, მათ მინც რატომ არ ამოიღეს ხმა დღემდე ამ ფაქტებზე, რატომ არ ურჩიეს შემსყიდველ თანამდებობის პირს, რომ უხარისხო პროექტი არ შეესყიდა... ან რამ, კითხვებზე პასუხებს შორს ნუ მოქმედებთ.

თქვენს „სპექტაკლებს“ მაყურებელი ჰყავს, მაგრამ რეალურ სურათს კარგად ხედავენ. თქვენსა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მეგობრობას კი თვალს ვერ არიდებენ, ვინაიდან უკვე თვალშისაცემია....

ქალბატონ ნინო ფხალაძეს, რომელიც თქვენი პარტიის ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეა, იქნებ მისი დეპუტატობის დროს მისივე სოფელში მართლაც გაფლანგული ათასობით ლარის ამბები მოჰკითხოთ, ვითომდა სამკურნალო აბანოს მოსაწყობად. იქნებ შემსყიდველიც მოიკითხოთ, შორს არაა თქვენგან! დღეს ალბათ ფარცხნალში „თანამედროვე სტანდარტებით“ აღჭურვილი აბანოთი მოაწოდებთ თავს მოსახლეობას წინასწარჩვენი შეხვედრებზე. სადაა აბანო? სად არიან ახლა ასეთი უხარისხო პროექტების განმახორციელებლები?! სად და - თქვენთან...

განვმარტავ, რომ ფარცხნალში 2009-2013 წლებში მიმდინარეობდა იმ დროს სოფელ ფარცხნალის მასშტაბით დეპუტატი ქალბატონი ნინო ფხალაძე გახლდათ, რომელიც დღეს უბატა ბურჭულაძის პარტიის ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელია) სამკურნალო აბანოს მშენებლობა რაზედაც ვაჩიარა 20 000 ლარზე მეტი. ადგილზეც ვარსებობს.

თანხა, რომელიც სოფლის განვითარებას უნდა მოხმარებოდა, მართლაც წყალში გადაიყარა. დღემდე აღნიშნული აბანოთი მოსახლეობას არ უსარგებლობია და მომავალში სარგებლობაც შეუძლებელია. წარმოიდგინეთ, ეს თანხა არის აღნიშნული სოფლისათვის დაახლოებით ოთხი წლის განმავლობაში სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სახსრები. შესაბამისად, სოფელს ამ საშინელების გამო სხვა სიკეთეები დაეკარგა... დღეს კი ამ ხალხის „ახალგაზრდობა“ პარტია, რომელთა წარმომადგენლებიც გასვრილი არიან - სხვებისკენ ისვრიან ტალახს...

დასასრულ, ვინაიდან დრო გაქვთ აბსურდების დასახლართად, იქნებ მოსახლეობასაც მოუხსინოთ. აბრძანდით ამ ქუჩით მოსარგებლებთან და თავად ნახეთ, ისინი ახალი პროექტით განხორციელებული წარმომადგენლებიც გასვრილი არიან. იქნებ ჩამოსვლისას თქვენი მეგობრებისა და თანაპარტიელების მოღვაწეობისას დაბის ცენტრალურ ქუჩაზე დაგებულ „თავმომხრე“ ქვაფენილიც იხილოთ, ოღონდ ნვიამინში არ გაიაროთ, გაისვრებით და ვწუხვარ, რადგან საკმაოდ გასვრილები ხართ უკვე პოლიტიკურად, - წერს ვარლამ ჭიბაშვილი „ფეისბუქის“ პირად გვერდზე.

აყვავებულ და გამთლიანებულ საქართველოში გაცხოვროთ!



გოგოლაძისა და ელისო ბარბაქაძის სტუმრობამ. ბალის აღსაზრდელთა ენერჯიული შრომის შედეგია, რომ ბავშვებმა ძალზე ლამაზად შეასრულეს მუსიკალურ-მხატვრული ნომრები. ემოციური დატვირთვა ჰქონდა აფხაზეთსა და ოსეთზე შესრულებულ სიმღერებს.

21 ივნისი არასდროს დაავიწყდებათ ბორითის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებსა და მონვეულ სტუმრებს. ბაღის თბილი ბუდიდან ამ დღეს 22 თვალახტულა გოგობიჭი აფრინდა...

მალალი გემოვნებით სადღესასწაულოდ მორთულ დარბაზში თვალს იტაცებდა გადამოღობილი ნივნი - ჩვენი ერის საუნჯე, დიდი იაკობის მადლიანი „დედა ენა“. საზიო განწყობილება აამაღლა ბორითის მასშტაბით დეპუტატის, ქალბატონ მანანა ბარბაქაძისა და მომავალ პირველკლასელთა მეგობრების - ქეთევან

აფხაზეთსა და ოსეთზე შესრულებულ სიმღერებს. - ძალზე მახარებს, რომ ვხედავ ნიჭიერების ზეიშ. ეს თქვენი აღზრდელის, მშობლებისა და თვით თქვენი დიდი მონღომების შედეგია. დაგილოცავთ ცოდნის ტაძრისაკენ - სკოლისაკენ მიმავალ გზას და გისურვებთ, რომ იცხოვროთ აყვავებულ და გამთლიანებულ საქართველოში, აღნიშნა საპატიო სტუმარმა, ბორითის მასშტაბით დეპუტატმა, მანანა ბარბაქაძემ.

აპა შავიძე

ხარაგაულში მეაბრეშუმეობის აღდგენისა და განვითარებისთვის საპილოტე პროექტი შეიქმნა



„პირველ ეტაპზე მიიღება ძაფი, რომლის რეალიზაცია ძველი ასკანელების ფაბრიკაში მოხდება. იმედი მაქვს, რომ მეაბრეშუმეობით საზოგადოება დაინტერესდება და მოსახლეობას დამატებითი შემოსავლის წყარო გაუჩნდება. ჩვენ დაინტერესებულ მოქალაქეებს პირველ ეტაპზე გრენს უსასყიდლოდ გადავცემთ,“ - ამბობს მურმან არჯევანიძე.

ხარაგაულში მეაბრეშუმეობის აღდგენისა და განვითარებისთვის საპილოტე პროექტი შეიქმნა. პროექტის ინიციატორები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, გამგებლის მრჩეველები სოფლის მეურნეობის საკითხებში მურმან არჯევანიძე და გია თავზარაშვილი არიან.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობის მეაბრეშუმეობის განვითარების სტრატეგიულ პროექტში მოხვდა ხარაგაულში აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის ამუშავების ხელშეწყობის პუნქტი. საპარტნიორო ფონდი მზადაა, 2,4 მილიონიან დაფინანსებაში მონაწილეობა მიიღოს 49%-იანი წილით. ამჟამად მიმდინარეობს საარეკლამო კამპანია ინვესტორის მოსაძიებლად.

საპილოტე პროექტში ჩაერთნენ ხარაგაულელები: ნინო და ცირა ფხალაძეები, ნინო გურგენიძე, ინგა ჩურკინა და იზოლდა მოდებაძე.

საპილოტე პროექტის განსახორციელებლად ხარაგაულის მკვიდრმა, აგრარული უნივერსიტეტის მეაბრეშუმეობის კათედრის პროფესორმა, თინა დალალიშვილმა, ჯგუფს აბრეშუმის ჭიის გრენი სრულიად უსასყიდლოდ გადმოსცა. მისი თვეში ჩატარდა ექსპერიმენტი აბრეშუმის პარკის დამზადებისთვის და 22 ივნისს უკვე პარკის პირველი პარტიის მიღება დაიწყო. გამგებლის მრჩეველის სოფლის მეურნეობის საკითხებში, მურმან არჯევანიძის განცხადებით, ორი დღის განმავლობაში ჭიის პარკები გამოშრობას დაასრულეს, ამის შემდეგ სპეციალური დაზვის მეშვეობით, რომელიც მუნიციპალიტეტს ცნობილია ბიზნესმენებმა, მებემა ასკანელებმა საწყურად გადმოსცეს, აბრეშუმის ძაფის მიღება მოხდება.



იზო მოდებაძე (მეაბრეშუმეთა ჯგუფის ხელმძღვანელი): „აბრეშუმის მოვლა საკმაოდ შრომატევადია, მაგრამ მოსავალს მალე იღებ და შრომის შედეგაც ნახულობ. იმედი მაქვს, ხარაგაულში მეაბრეშუმეობა განვითარდება. ეს დარგი ძალიან მინტერესებდა, ამიტომ გადავწყვიტე პროექტში აქტიურად მიმელო მონაწილეობა“.

აპა შავიძე

ხარაგაულის №2 საბავშვო ბაღში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა

დასაწყისი პირველი გვერდზე

შენობის ფუნდამენტის გამაგრება და მოწყობის სანიტარული საბავშვო ბაღი ორსართულიანი და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისაა. პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა და მის განსახორციელებლად 99 999 ლარი დაიხარჯა. რაც შეეხება სარემონტო სამუშაოებს, იგი ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია შპს „პარამლა“ შეასრულა. N2 საბავშვო ბაღში დღეის მონაცემებით სულ 50 აღსაზრდელი ირიცხება.

„საბავშვო ბაღში ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო. დღეს კი უკვე მუნიციპალიტეტის გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის, აქტიური მუშაობით ჩვენს ბავშვებს ლამაზ გარემოში უწევთ ყოფნა. ადგილობრივი ხელისუფლებისათვის პრიორიტეტულია ბავშვების რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა. შექმნილი კომფორტული გარემო კი ხელს უწყობს მომავალი თაობის აღზრდასა და განვითარებას“, - განაცხადა აქტიური კენკანის სახელობის სკოლაშვილ დანესეზულუბათა გაერთიანების დირექტორმა, ირმა სეზინკერაძემ.

განახლებული ბაღის შენობა გამგებლის მოადგილემ, დავით დევედარიანმა, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ შალვა ლურსმანაშვილმა და აქტიური კენკანის სახელობის სკოლაშვილ დანესეზულუბათა გაერთიანების დირექტორმა, ირმა სეზინკერაძემ, დაათვალიერეს.

აპა შავიძე

ქალბატონო იზა, გორის უყვარხარო და გორი ხვლავ გელოდებათ!

გორი შუაგული ქართლის მთავარი ქალაქია, შუაგული ამ სიტყვის ყველაწილი გაგებით... შუაგ არის, გულიც არის და რეგიონული ცენტრიც, მაგრამ მთავარი, რის გამოც მე, პირადად, ასე ძალიან მიყვარს ჩემი ქალაქი, ის გახლავთ, რომ გორი, რაღაცნაირად, ყოველთვის საუკეთესო ნაგავსაყუდი გახლავთ ქართული ხელოვნებისა თუ ხელოვნების დარგის მოღვაწე ადამიანებისათვის... „გორი, ქართლის შუაგული, მე-თაურო ქართლისაო, ადრეც ღირსად ნამებულო, დღესაც მთქმელი მართლისაო!“ - უბრძანებია დიდ მგონს, ხოლო თუ ჩვენს საამაყო აკაკის გორის ისტორიული დანიშნულება უბიძგებდა პოეტური აღმადგენისაკენ, სიმონ ჩიქოვანს გორივერდინიდან დანახული დაისის ელემენტურობაში დაუნახავს განსაკუთრებული ხიზლი: „რა კარგია მზის დახრისას გორი, შემოდგომის ჩრდილი როგორ ეხამება, გადაყურებ ციხიდან და შორით, ურმულივით ახლოვდება შეღამება“. 1948 წლის 6 აგვისტოს გორში მყოფ გალაკტიონს გულში ველარ დაუსტევია გორის ციხისადმი საკუთარი ამაღლებული დამოკიდებულება და განწყობა ასე გამოუსატყავს: „ყოველ ახალ გამარჯვების შემდგომ, წესად შემოვიღო, ალტაცებით შემოვიღებო: ეგ არის და გორის ციხე!“ ჩამონათვალს რომ გაუყვებო, ძალიან შორს გაგვიტყუებს ერთს კი დაეძინო ჩვენი შეფხვების დასასაბუთებლად - გორში დაბადებული და გაზრდილი მოღვაწეებს ვარდა (იაკობ გოგებაშვილი, კირიონ II, ნიკო სამადაშვილი, მერაბ მამარდაშვილი, ერეკლე ტატიშვილი, ზურაბ ანტიონიძე, ნიკოლოზოური, ევატერინე გაბაშვილი, სულხან ცინცაძე, ანასტასია ერისთავი-ხომტარია, ოთარ ჩხეიძე და ა. შ.) გორის როლი ასევე დიდია იმ შემოქმედთა ცხოვრებაშიც, რომლებსაც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე მოუწიათ გორში მოღვაწეობა. მაგალითად, ლიტერატურის კრიტიკოსები რატომღაც ხაზს იმეფიან უსვამენ, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით ცხოვრება სტარტს სწორედ გორში, მისი სტუდენტობის დროს, იღებს და მისი ნიჭიერების პირველი დემონსტრირებაც გორში შედგა; გორივე ერისთავიც ყველაზე აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას გორში ეწეოდა და მიხილ ვაჟაშვილისა და გორში სტუმრობა მიანდა გარდაუვალ აუცილებლობად ქართული ენის სრულყოფილად დასაუფლებლად. აქაც არა-



ერთი ფაქტის გახსენება შესაძლებელი, თუმცა, ვშიშობ, მთავარ სათქმელს არ გადავუხვიოთ და მეტს აღარ გავაგრძელებო...
 გორის კულტურული ცხოვრების ტრადიციების უმნიშვნელოვანესი და ღირსეული გაგრძელება გახლავთ ჩვენს ქალაქში ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრისა და მისი დამფუძნებლის, ქალბატონი იზა ვეფხვაძის, სტუმრობა 2016 წლის 4 ივნისს. ქალბატონი იზა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექტო დარბაზში წარდგა მასწავლებლის ნინაშე და გოდერძი ჩოხელის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი მონო სპექტაკლი - „ამ მიწის ბედი ჩემი ბედია“ წარმოდგინა გორის საზოგადოებას. იშვიათად მინახავს ასეთი მონუსხული აუდიტორია, თითქოს სპექტაკლის დასაწყისში ჩაისუნთქა მასწავლებელმა და ქალბატონი იზა საფინალო სიტყვამდე არც ამოუსუნთქავს. ოთხსაშუა ადამიანი ისე გარინდულიყო დარბაზში, ზუსტად რომ არ მცოდნოდა, სად ვიმყოფებოდი, მეგონებოდა, უკაცრიელი კუნძული მასპინძლობდა მონო სპექტაკლს, მე კი რაღაც მანქანებით შორიდან მესმოდა ეს ყოველივე. ყველა ემოციური პასაჟი კურცხალით ხუნ-

ძლავდა მასწავლებლის ღანგებულს. გაოგნებული, ღრმად დაფიქრებული აუდიტორია აღტაცებული და თვალცრემლიანი მისჩერებოდა ქალბატონი იზას მალაღმბატვრულ და გრაციოზულ გამოსვლას, ფიქრებით იმეორებდა მის ყოველ ემოციას... აკი უზიარებდნენ კიდევ ერთმანეთს სპექტაკლის შემდგომ საკუთარ შთაბეჭდილებებს და დაბეჯითებით ადასტურებდნენ, რომ „მსგავსი არაფერი უნახავთ!“ მასხოს ქალბატონი იზას სკოლის მასწავლებელმა, ქალბატონმა მერი გიორგიძემ, სიამაყით რომ გაანდო გორელებს - კიდევ ორმოცდაათზე მეტი ამ სახის სპექტაკლი აქვს დადგმული ჩემს სათაყვანებელ მოსწავლესო. ამ დროს თითქოს უნივერსიტეტი აგუგუნდა, რამდენიმე კითხვა ყველას ერთად აღმოხდა და უცნაური ხმაური გამოიწვია: „როგორ, ყველა ასე ზებირადო?“, „როგორ, ყველა ამხელა ქორნომეტრაჟითო?“, „დაიხ, ასე — ყველა დამდგმელიც თავად არის და შემსრულებელიცო“; „სულ ცოტაც არასდროს არ ავიწყებო“ და გაოცებას გაოცება ემატებოდა.
 არსებობენ დაუფიქარი წუთები ჩვენს ცხოვრებაში და სწორედ მათი შექმნა ყველაზე ურთულესი ამოცანა და გამოწვევა ადამიანებისათვის. ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ კი დაუვიწყარი ორი საათი აჩუქა ერთდროულად ოთხს ადამიანს, ერთდროულად შეაღო ოთხსი გულის კარი და მონატრებად გარდაიხსნა ოთხსი მხესიერებაში.
 მიხარია, რომ ამ შესანიშნავი ღონისძიების ორგანიზებაში მცირე მონაწილეობა მივიღე, რისთვისაც ქალბატონი ნანა კობერიძის და ორგანიზაციის საერთაშორისო ასოციაცია - „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიკეთისათვის“ (თავმჯდომრე ქალბატონი მაია კვეციანი-კობაძე), უდიდესი მადლობა უნდა მოვხსენო. ამ ორგანიზაციის ქალბატონი ნანა კობერიძე ქართლის რეგიონში წარმოადგენს ხოლო ქალბატონი იზა - ხარაგაულში. ასეთი ქალბატონების გამაერთიანებელი საზოგადოება დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრ ღირსეულ საქმეს გაართმევს თავს გორშიც, ხარაგაულშიც და მთელს ჩვენს სათაყვანებელ სამშობლოშიც. გარდა იმისა, რომ

სპექტაკლი საექველმოდებო დანიშნულებასაც გახლავთ, რაც თავისთავად მეტად საშური საქმეა, გორის საზოგადოებას არაჩვეულებრივი, სულიერებით და მადლით დატვირთული დღე ვაჩუქეთ, რამეთუ ხარაგაულის ლიტერატურული თეატრი პირველად სტუმრობდა გორს საკუთარი შემოქმედებით. ვიცი, რომ რაც მეტი დრო გავა, მით უფრო სასიამოვნო გასახსენებელი იქნება ქალბატონი იზას სტუმრობა გორში და გორის კულტურული ცხოვრების ისტორიას ერთ საუკეთესო დღედ დარჩება გორისა და ხარაგაულის ეს კულტურული დამბობილება.



და ბოლოს, ღირსეულ ქართველ ქალბატონს, ლიტერატორს, პუბლიცისტს, რეჟისორს, სცენარისტს, მსახიობს, მხატვრული კითხვის გამორჩეულ ოსტატს, უნიჭიერეს ხელმძღვანელსა და ორგანიზატორს, ჭეშმარიტ „კულტურტივერს“- ქალბატონ იზა ვეფხვაძეს გორელების დანაბრები მიწადა, გადაეცე: ქალბატონი იზა, გორს უყვარხარო და გორი კვლავ გელოდებათ!
გიორგი ხორვალიანი
 გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), ფილოლოგიის დოქტორი.

ბიუროს სხდომაზე არჩიბაქური და ზედახედელოვის სამსახურის ანგარიში მოიხილეს

20 ივნისს გამართულ საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში მოიხილეს. საკითხი მათ სამსახურის უფროსმა, ბესარიონ ჭიპაშვილმა, გააცნო და დასმულ კითხვებსაც ამომწურავად უპასუხა. ანგარიში წარმოდგენილი 2015-2016 წლებში მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები გახლდათ, რომლებზეც არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურმა ხარისხიანად და კალენდარულ ვადებში შესრულებისათვის ზედამხედველობა განახორციელა.



ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, თორნიკე ავალიშვილმა, ყურადღება ხარაგაულში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გაამახვილა. მისი განცხადებით უხარისხოდ არის შესრულებული ღია ესტრადის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მარიამყაროს გზის, წყალაფორეთის სანიადრე არხისა და გარე განათების პროექტები.
 „ღია ესტრადაზე ვერ უნდა მომხდარიყო სახურავის შეცვლა და შემდეგ შენობის რეაბილიტაცია“ - აღნიშნა თორნიკე ავალიშვილმა.
 როგორც არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის ყოფილი უფროსი, არჩილ ლურსმანაშვილმა, განმარტა, ღია ესტრადის კოსმეტიკური რემონტი ჩაუტარდა.
 „სახურავის შეკეთება პროექტში გათვალისწინებული არ იყო. მიუხედავად ამისა, თუ სადმე წყალი ჩამოდებოდა, შევაკეთებ და ამ ეტაპზე პრობლემა გადაჭრილია. რაც შეეხება მარიამყაროს გზას, იქ ჩატარდა მოხრეშვითი სამუშაოები, შემდეგ გრეიდერით გასწორდა. თქვენ რა ხარე ზეზე საუბრობთ, გაურკვეველია“ - განაცხადა არჩილ ლურსმანაშვილმა.
 წყალაფორეთის მაჟორიტარი დეპუტატის, ომარ გაგოშიძის, ინფორმაციით, წყალაფორეთის მოსახლეობა გარე განათების დამონტაჟებით ემყოფილია. მით უმეტეს, რომ სოფელში არასოდეს ყოფილა გარე განათება.
 ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის, ბესარიონ ჭიპაშვილის, თქმით, განათების ბოძები „ენერჯო-პრო ჯორჯიამ“ გადმოგვცა და

იქ თუ რამე ხარეზებია, თავად კომპანია უნდა აღმოვხვრას.
 საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილმა, ბაზალეთის გზასთან დაკავშირებულ ხარეზებზე ისაუბრა. იგი დაინტერესდა აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად გატარდება თუ არა რამიმე ღონისძიება. აქვე ვარლამ ჭიპაშვილმა ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მუშაობა დადებითად შეაფასა და დასძინა, რომ ეს სამსახური ერთ-ერთი წარმატებული და თანამშრომლებსაც დიდი პასუხისმგებლობა გააჩნიათ. ბესარიონ ჭიპაშვილის განმარტებით, მშენებარე კომპანია ბაზალეთის გზასთან არსებული ხარეზების გამოსასწორებლად განესაზღვრა კვდა. გზის გარკვეულ მონაკვეთზე დიგება ასფალტის მესამე ფენა და არსებული ნაკლოვანებები გამოსწორდება.
 საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, მანანა ბარბაქაძის, განცხადებით, ბანერები, რომლებიც ამა თუ იმ სოფლის დასახლებებს მივითითებს, დაზიანებულია. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად რამიმე ღონისძიება ხომ არ გატარდება?
 ბესარიონ ჭიპაშვილის თქმით, არსებული პრობლემების დეტალურად განხილვისა და მოგვარების მიზნით სამსახურში საშუალო ვადული აუცილებლად შეიქმნება.

საკრებულოს თავმჯდომარე, ინგა მალრადემ, საბიუჯეტო სამუშაოების შესყიდვაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურმა უფრო აქტიურად უნდა განახორციელოს საბიუჯეტო სამუშაოების შესყიდვის პროცესში ზედამხედველობა. მან ასევე პროექტების შესრულების ვადის განულებასთან დაკავშირებით ისაუბრა: „ფარცხნალოს გზის მოასფალტების სამუშაოები დასრულდა, რომელიც დროში საქმოდ გაიწვია. ვადაგადაცილების გამო მოხდა თუ არა მშენებარე კომპანიის დაჯარიმება. ასევე, სანტრერესო რა მდგომარეობაშია მუნიციპალიტეტში მიმდინარე სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები.“
 „ფარცხნალოს გზის მშენებელ კომპანიას გადავუენით პროექტის ჩაბარების დრო. მიუხედავად ამისა, კომპანია ვადაში ვერ ჩაეტია და დაეკისრა პირგასამტეხლოს სახით 1 150 ლარის გადახდა. ფარცხნალოს გზის მოასფალტება დასრულდა. მოსალა ექსპერტიზის დასკვნა, რომელზეც შესაბამისი კომისია მუშაობს. რაც შეეხება მიმდინარე პროექტებს, ვფიქრობ, ვადებში ჩაეტევა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ კანონის ფარგლებში ვიმოქმედებთ,“ - დასძინა არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა. აღნიშნული საკითხის შესახებ უფრო ვრცლად დეპუტატები 4 ივლისის საკრებულოს მორიგ სხდომაზე იმსჯელებენ.
თამარ მაღრაძე

ხარაგაულს 18 მედალოსანი მოსწავლე ჰყავს



ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სასწავლო წელი სულ 240-მა მოსწავლემ დაამთავრა. აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულთაგან 18 მედალოსანია. აქედან 8 ოქროს და 10 ვერცხლის მედალოსანი მფლობელი გახდა. ამის შესახებ ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ, დირექტორებთან გამართულ თათბირზე ისაუბრა.
 მადონა შველიძე (ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დაბის N2 საჯარო სკოლა); ნინო მალრადე (ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დაბის N2 საჯარო სკოლა); გიორგი კვიციანი (ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიციხის საჯარო სკოლა); ნუგზარ მაჭავარიანი (ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაშის საჯარო სკოლა); ვლადიმერ მალრადე (ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაშის საჯარო სკოლა)

ლა); ანა კვიციანი (ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიფის საჯარო სკოლა); არჩილ მაისურაძე (ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია); თამარ სხილაძე (ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია); - ეს იმ კურსდამთავრებულთა შემადგენლობაა, რომლებმაც, საუკეთესო შეფასებიდან გამომდინარე, ოქროს მედეები დაიმსახურეს.
 რაც შეეხება ვერცხლის მედალოსნებს, მათი შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურება: მარი მალაფერიძე (ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დაბის N2 საჯარო სკოლა); სალომე შაპიძე (ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიციხის საჯარო სკოლა); მარიამ ფცქიალაძე (მარტვილის საჯარო სკოლა); ზურაბ აბაშიძე (ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია); ანი ბლუაშვილი (ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია); თამარ კიკნაძე (ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია); ნოდარ შაიძე (ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია); ანი ჩხეიძე (ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია); ნინო ჭიპაშვილი (ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია);
 კურსდამთავრებულებს მედეები უახლოეს მომავალში გადაეცემათ.
მარიანა გურჯალიანი

ხარაგაულის თოჯინების თეატრი ნომინაციით - „საუჩეთესო მუსიკალური გაფორება“ დაჯილდოვდა

13-16 ივნისს ჭიათურაში საქართველოს სახალხო თოჯინების თეატრების ფესტივალი „ტიკინები - 2016“ გაიმართა. ფესტივალი უკვე მეორედ ჩატარდა და მასში მონაწილეობას საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ცხრა თეატრი ღებულობდა. ფესტივალზე ხარაგაულის თოჯინების თეატრმა „სამი ვოჭის ზღაპარი“ (რეჟისორი ირინე ჩხეიძე) წარადგინა და ერთ-ერთი მთავარი ნომინაციით — „საუკეთესო მუსიკალური გაფორება“- დაჯილდოვდა. ფესტივალზე წარმოდგენილი თოჯინების თეატრების გამომვლა სპეციალურად შერჩეულმა ჟიურიმ შეაფასა. ჟიურის თავმჯდომარე გახლდათ რეჟისორი ნიკა საბაშვილი, ჟიურის წევრები: თეატრმცოდნე ნერონ აბულაძე და თამაზ იმეძე.



ხარაგაულის თოჯინების თეატრის რეჟისორი ირინე ჩხეიძე: „თეატრმა მიიღო ერთ-ერთი მთავარი ნომინაცია. ფესტივალზე ჩვენ ვიყავით ყველაზე ახალგაზრდა თეატრი და ეს ძალიან დიდ წარმატებას ნიშნავს. ფესტივალის შემდეგ იყო შეხვედრა ჟიურისთან და აზრთა გაზიარება. დიდი გამოცდილება შევიძინეთ და იდეებით დატვირთულიები დავბრუნდით უკან.“



ხარაგაულში ქორეოგრაფიული ფესტივალი „ხილვას დანობდა“ გაიმართა

18 ივნისს ხარაგაულში ახლად რეაბილიტირებულ ღია ესტრადაზე ქორეოგრაფიული ფესტივალი „ხილვას დანობდა“ გაიმართა. ფესტივალი კულტურის ცენტრის ქორეოგრაფების: ზაზა და ელისო ლურსმანაშვილების ინიციატივითა და ხარაგაულის კულტურის ცენტრისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერით 2009 წლიდან იმართება. ფესტივალის მიზანი ქართული ხალხური ცეკვის პოპულარიზაცია, მისი თვითმყოფადობის შენარჩუნება - განვითარებაა.



„ქართული გენი როკით განფენილი“-ამ სიტყვების ძალა მთელი სიხადით მრავალჯერ უგრძნია ხარაგაულელ მაყურებელს. გამონაკლისი არც დღევანდელი დღე ყოფილა. მაღალი ოსტატობით შესრულებულმა საცეკვაო ნომრებმა მაყურებლის დიდი მონონება დაიმსახურა.

„დღევანდელი დღე იმის დასტურია, რომ ხარაგაულში არის ნიჭიერი თაობა, რომელიც წინა თაობის საქმეს აგრძელებს. ჩვენს რაიონში ყოველთვის იყვნენ გამოჩენილი ნიჭიერები დაჯილდოებული ადამიანები, რომელთაც არაერთხელ ასახელებს ხარაგაული თავისი ხელოვნებით. დღევანდელი დღე ნამდვილად ქორეოგრაფიის დღეა.“ - აღინიშნა კონცერტის დასასრულს.

ხარაგაულში პირველი ქორეოგრაფიული ნრე ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 40-იან წლებში შეიქმნა, რომელსაც ქორეოგრაფი, ლევან ლურსმანაშვილი, ხელმძღვანელობდა. მამინდელმა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა ტრიუმფით მოიარა საქართველო და საერთაშორისო ასპარეზზე მრავალჯერ აჩვენა ქართული ხელოვნების სილამაქე. დღეს კი ამ ჯგუფის დიდ ტრადიციას და-ძმა, ელისო და ზაზა ლურსმანაშვილები, ღირსულად აგრძელებენ. მათ მიერ შექმნილი ქორეოგრაფიული ანსამბლი „უბისი“ მრავალი რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი გახლავთ. 2013 წელს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის გადამწყვეტილებით ანსამბლს მიენიჭა საბავშვო, საინფორმაციო და სახალხო სოფელში. ქორეოგრაფი ზაზა ლურსმანაშვილი კი ნაყოფიერი მოღვაწეობისა და ქორეოგრაფიის განვითარე-

ბის საქმეში შეტანილი წვლილისათვის „ქორეოგრაფიის ამაგდარის“ ორდენით დაჯილდოვდა. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის ივლისში ანსამბლი ბულგარეთში საერთაშორისო ფესტივალზე მინვესტირდა.

რაც შეეხება ქორეოგრაფიულ ფესტივალს, მასში შემდეგი ანსამბლები მონაწილეობდნენ: „უბისი“ (ხელმძღვანელები- ელისო და ზაზა ლურსმანაშვილები); „საუზჯე“ (ხელმძღვანელი- რომან ბუაჩიძე); მარელისის სკოლასთან არსებული ანსამბლი (ხელმძღვანელი ომარ ბარბაქაძე); ხევის საჯარო სკოლასთან არსებული ანსამბლი (ხელმძღვანელი ანდრო ტაბატაძე); უბისის საჯარო სკოლასთან არსებული ანსამბლი (ხელმძღვანელი-ანდრო ტაბატაძე); მოლითის საჯარო სკოლასთან არსებული ანსამბლი (ხელმძღვანელი-მერაბ ტალახაძე); ხუნდის საჯარო სკოლასთან არსებული ანსამბლი (ხელმძღვანელი-ანდრო ტაბატაძე); ზესტაფონის ხელოვნების სახლიდან არსებული ანსამბლი „მწვერვალი“ (ხელმძღვანელები - მამუკა გაჩეჩილაძე, ზურაბ კვანტრიშვილი); ქუთაისის ანსამბლი „როკვა“ - (ხელმძღვანელი-თემურ ბასილაძე).

ფესტივალის დასასრულს ყველა მონაწილეს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. საჩუქრები მათ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა ირინე ჩხეიძემ და აქაბი „კულტურის ცენტრის“ დირექტორმა, ვასილ კიკნაძემ, გადასცეს.

აპა შავიძე

სათავდასავლო ტურ-თამაშები ძველის საჯარო სკოლის გაბარჯვებით დასრულდა



22 ივნისს ხარაგაულის კინოთეატრში სათავდასავლო ტურ - თამაშებში მონაწილე გუნდები სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. პროექტი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ხორციელდება. თამაში ორ ეტაპად მიმდინარეობდა და მასში მონაწილეობას ხარაგაულის 12 სკოლის გუნდი,

ჭიათურის საჯარო სკოლის, ძეგრის საჯარო სკოლისა და ზედა საქარის საჯარო სკოლების გუნდები იღებდნენ.

ფინალში 5 საჯარო სკოლის გუნდი გადავიდა. ფინალური შეხვედრა ბორჯომ - ხარაგაულის ეროვნული ტყეპარკის ტერიტორიაზე ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. რაც შეეხება გამარჯვებულ გუნდებს, პირველ ადგილზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის, სოფელ ძეგრის საჯარო სკოლის გუნდი „მაკნინი Georgia“ გავიდა, მეორე ადგილი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის გუნდმა „იშვიათი იმერლები“ დაიკავა, ხოლო მესამე ადგილს დაეუფლა.

დაჯილდოების ცერემონიას უძღვებოდა გამგებლის მრჩეველი ტურიზმის საკითხებში, მამუკა ჭიაბურდია. ცერემონიაზე ნაჩვენები იყო თამაშების დროს გადაღებული კურიოზები, ფოტო და ვიდეო კოლაჟები.

სათავდასავლო ტურ-თამაშები ხარაგაულში უკვე რამდენიმე წელია, ტარდება.

თამარ მაღრაძე

მადლოზა თანადგომისთვის

2016 წლის 5 — 12 ივნისს ჩემი შვილი, ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე, ხათუნა გოგოლაძე, პოლონეთის ქალაქ ტრევეში გამართულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა შემოქმედებით ფესტივალზე მიიწვიეს. რომ არა კეთილი ადამიანების გვერდში დგომა, ჩემი ოჯახი გამგზავრებისათვის საჭირო თანხებს ვერ მოიძიებდა და ხათუნა პოლონეთში ვერ წავიდოდა. საუბარი იყო საკმაოდ დიდ თანხებზე, რომლის შესაძლებლობაც არ გვექონდა. არადა, ბავშვისთვის ასეთი ტიპის ღონისძიებებზე დასწრება, მნიშვნელოვანი იყო. მუნიციპალიტეტის გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის, დახმარებით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა ჩემი შვილის ფესტივალზე გასაგზავნად. ამ კეთილ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ხუნდის ადმინისტრაციული ერთეულის დეპუტატს, ქალბატონ ლენა აბაშიძესა და გამგებლის წარმომადგენელ ხუნდის ადმინისტრაციულ ერთეულში - კახა ლომიძეს.

დიდი მადლობა ამ კეთილ ადამიანებს, იმისათვის, რომ ჩემს შვილს ასეთი ბედნიერი დღეები აჩუქეს და ოცნება რეალობად უქცევს.

ხათუნა გოგოლაძის მშობელი ლეონა ბარბაქაძე

„საქართველოს სამთო გაყოლთა განვითარების ასოციაციის“ წარმომადგენლებმა ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს

15 ივნისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ინოვაციების ცენტრში პროექტის „საქართველოს სამთო გაყოლთა განვითარების“ ფარგლებში ტრენინგის მონაწილეობის სერტიფიკატი გადასცეს. დაჯილდოების ცერემონიას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, საქართველოს სამთო გაყოლთა ასოციაციის ტექნიკური ლიდერი, არჩილ ცინცაძე, პროექტ იმერეთის რეგიონში ტურიზმის სფეროში დასაქმებული კადრების საკონსულტაციო მომსახურების ხელმძღვანელი, ერიკ ოლმედო, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ცენტრის დირექტორი, ბერიკა თურმანიძე და ტრენინგის მონაწილეები ესწრებოდნენ.

„საქართველოს სამთო გაყოლთა განვითარების ასოციაციის“ წარმომადგენლებმა ტრენინგის რვა მონაწილეს: ოთარ ლურსმანაშვილს, ოთარ ფერაძეს, ბაქარ ბარბაქაძეს, ლევან ჩუბინიძეს, ზურაბ ბლუაშვილს, შალვა ბერიძეს, ბერიკა თურმანიძესა და ნეით თრანიგს სერტიფიკატი გადასცეს.

„ხარაგაულში ტურიზმი ერთ-ერთი აქტიური მიმართულებაა. სამომავლოდ დიდ გეგმებში გვაქვს და, ცხადია, შესაბამისი სპეციალისტებისა საჭირო. ის აქტივობები, რომელთა განხორციელებასაც საქართველოს სამთო გაყოლთა ასოციაცია გეგმავს ხარაგაულში, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მათ შორის, ასოციაციის ინიციატივითაა ე.წ. „ხანდების კლდეზე“ საცოცი ბილიკების გაკეთება. მიმდინარეობს მოლაპარაკებები გამგებთან და ასოციაციის შორის, რათა მომავალში გაფორმდეს მემორანდუმი და ხარაგაულში კლდეზე ცოცხის განვითარებისთვის კონკრეტული ბაზა შეიქმნას. სწორი გადაწყვეტილება მივიღო, როდესაც ხარაგაულში ტურიზმის მიმართულებით აქაბი-ი შევქმენით და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ნაწილი მას გადავცეთ. თავდაპირველად ამას სპეციალურად შეხედეს, მაგრამ შედეგი სახეზეა. დღეს ხარაგაული ტურისტულ რუკაზე გარდა. დაინტერესება საკმაოდ დიდია, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. სასიამოვნოა, როდესაც ჩვენ ტურისტული მიმართულებით გეინვესტს სხვადასხვა მაღალი დონის შეხვედრებზე. უშუალოდ ტურისტული აქტივობები, რომლებიც დღეს ხარაგაულში იგეგმება, ამ დონის, ამ ფორმისა და ასეთი ჩართულობით არასოდეს ყოფილა. ამაში კი ტურიზმის ცენტრის ახალგაზრდა დირექტორის, ბერიკა თურმანიძის, უდიდესი წვლილია.“ - აღინიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა.



არჩილ ცინცაძე - „საქართველოს სამთო გაყოლთა ასოციაციის“ ტექნიკური ლიდერი, სახსავლო ნაწილის ხელმძღვანელი.

„ხარაგაულში ჩავატარეთ ხუთდღიანი ტრენინგი საფეხმავლო გაყოლთათვის საბაზისო ცოდნის მიცემასთან დაკავშირებით. ტრენინგის ძირითადი მიმართულებები იყო: რისკის განსაზღვრა საფეხმავლო ტურზე, რისკების საფრთხეების დანახვა - შეფასება, მენეჯმენტი. ტრენინგის ორი დღე თეორიულ, ხოლო ორ დღე-ნახევარი პრაქტიკულ ნაწილს მოიცავდა. ახალგაზრდებს მიღებული ცოდნა ნამდვილად დაეხმარებათ, პროფესიონალურად დაგეგმონ ტურები და იყვნენ საიმედო გაყოლები. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი ორგანიზებული, მონდომებული და ენთუზიაზმით ანთებული გუნდი ჯერ არ შემხვედრია. ამ ადამიანებს ძალიან უყვართ თავისი მხარე და მონდომებულები არიან, ხარაგაულში ტურიზმი განვითარდეს. სამთო გაყოლთა ასოციაცია ამერიკიდან მათ გვერდითაა. მაღლობა მინდა, გადავუხადო ხარაგაულის მუნიციპალიტეტს და პროექტის ხელმძღვანელს, ერიკ ოლმედოს.“

არჩილ ცინცაძემ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული ტყე-პარკისა და ხანდებში კლდეზე ცოცხის განვითარებაზე ისაუბრა. „ბორჯომი - ხარაგაულის ეროვნული ტყე-პარკი ერთ-ერთი უნიკალური ადგილია თავისი ბუნებითა და რელიეფით. უნიკალური ტყე და ალპური ზონაა. რაც შეეხება კლდეზე ცოცხს, ვნახეთ, შევამოწმეთ და, ჩვენი აზრით, ეს კლდეები გამოდგება კლდეზე ცოცხისთვის. სწორი მიმართულებისა და

ინვესტირების შემთხვევაში შეიძლება აქ ერთ-ერთი საცოცი ცენტრი ჩამოყალიბდეს.“

ერიკ ოლმედო - პროექტ იმერეთის რეგიონში ტურიზმის სფეროში დასაქმებული კადრების საკონსულტაციო მომსახურების ხელმძღვანელი.

„მიმანია, რომ ტრენინგები ხარაგაულში წარმატებული გამოვიდა. ეს ორი ფაქტორის გათვალისწინებით მოხდა: პირველი - როცა ტრენინგის თეორიულ ნაწილს თან სდევს პრაქტიკული სამუშაოებიც, და, მეორე ის, რომ მონაწილეები იყვნენ პროფესიონალების ხელში და მათი უსაფრთხოება მაქსიმალურად იყო დაცული. გიდთან ერთად მგზავრობისას მნიშვნელოვანია, რომ თავი უსაფრთხოდ იგრძნოს. ხალხმა აუცილებლად უნდა გაიგოს, რომ ხარაგაული არაა ის ადგილი, სადაც, უბრალოდ, უნდა გაიარო. ხარაგაულში აუცილებლად უნდა დარჩე, დაისვენო და ეს ლამაზი ადგილები დაათვალიერო. მთავარია, აქ მდგრადი ქმედითი გზით მოხდეს ტურიზმის განვითარება. ეს არის მნიშვნელოვანი ჩვენი პროექტისა და ფრანგული კომპანია „სფერესისთვის.“

„სამთო გაყოლთა“ ტრენინგების ჩასატარებლად თბილისიდან ჩამოვიდნენ სპეციალისტები. დიდი ხანია, დავდივარ მთაში და გარკვეული გამოცდილება მაქვს, მაგრამ ამ კურსებით სხვაგვარი ხედვა გამიჩნდა. პირველ რიგში, ვისწავლე რუკაზე მუშაობა, ტურის დაგეგმვა. თითოეულმა ჩვენგანმა საჭირო ცოდნა და გამოცდილება მიიღო.“ - აღინიშნა ტრენინგის მონაწილე, ბაქარ ბარბაქაძემ.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულში გორა ჭაბუკაიძის ხონცერტი გაიმართა



16 ივნისს ხარაგაულის კინოთეატრში გორა ჭაბუკაიძის სოლო კონცერტი გაიმართა. კონცერტს ორგანიზებას საპროდიუსერო კომპანია „ორელი“ უწევდა. მომღერლის განსაკუთრებული ხმის ტემბრი და შთაბეჭდილება შესრულებული უცხოური და ქართული ჰიტები ხარაგაულელმა მსმენელმა სიყვარულით მიიღო. ღონისძიებამ ოცუციებისა და

მქუხარე აპოლონისმენტების ფონზე ჩაიარა. თავბრუდამხვევად შესრულებულ მუსიკალურ ნომრებს სცენაზე თანამედროვე მოეზი ცვლიდა. მაყურებელთა წინაშე ლექსებით წარდგენ ახალგაზრდა პოეტები: დავით ჯიმიშაშვილი, საშა გველეხიანი და ლაშა ბიბიაძე.

ღონისძიება დასრულდა უკვედვი ქართული ჰიტით. „ხმალი ავლესოთ, ქართველებო, ხმალი ავლესოთ!“

დასასრულ კონცერტის წამყვანმა და პროდიუსერმა, ლიკა ჭელიძემ, აღნიშნა, რომ ხარაგაულს საპროდიუსერო თბილი და მუსიკალურად გემოვნებიანი მაყურებელი ჰყავს. „ჩვენ ვიყავით საქართველოს 15 ქალაქში. აქ გორას რიგითი მე-16 კონცერტია და მაყურებელთა ემოციამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. არსად ასეთი თბილი და მუსიკალურად გემოვნებიანი მაყურებელი არ დავგვეხვედრია.“ - გვეუბნება ქალბატონი ლიკა.

კონცერტის მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, კობა ლურსმანაშვილს, გამგებლის მრჩეველს, მამუკა ჭიაბურდიას და თითოეულ ხარაგაულელს დღევანდელი ღონისძიების მხარდაჭერისა და ორგანიზებისთვის.

„საქართველოს ტურნეს“ ფარგლებში საპროდიუსერო კომპანია „ორელი“ ორგანიზებით, მომღერალ გორა ჭაბუკაიძის სოლო კონცერტი საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში იმართება.

თამარ მაღრაძე

ოლიმპიური გარბენი ხარაგაულში

საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი ოლიმპიური გარბენი ხარაგაულში დეკემბრის წყაროდან 12 საათზე დაიწყო და დაბის ტერიტორიაზე, კულტურისა და დასვენების პარკის შესასვლელთან, დასრულდა.

ოლიმპიური გარბენი კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა. აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით, მსოფლიოს ყველა ქალაქში მასობრივი მსოფლიოსური გარბენი ეწყობა.

ოლიმპიურ რბენაში გამარჯვებულებს სპეციალური პრიზები და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სერტიფიკატი გადაეცათ.

ოლიმპიურ გარბენში მონაწილეთა შორის ადგილები შემდგენილად გადაინაწილა: ბიჭებს შორის I ადგილი გიორგი გრიგალაშვილმა (ხევი) დაიკავა. II ადგილზე ლაშა ღონღაძე (ვახანი) გავიდა. ხოლო III ადგილის მფლობელი დათო ღონღაძე (ვახანი) გახდა. რაც შეეხება გონების ადგილები შემდგენილად გადაინაწილა: I ადგილზე თამარ გრიგალაშვილი (ხევი), II ადგილზე მარიამ ბურჯანაძე (ლეღვანი), ხოლო III ადგილზე ლელა ხარატიშვილი (ბახალეთი) გავიდა.



საპროექტო სახელმძღვანელო გეგმა

Table with 8 columns: N, მონიშნული სახელმძღვანელო (კორპორატიული/საჯარო), მისამართი, საკადასტრო კოდი, შენიშნული ნაგებობის ფართობი (კვ.მ), მიწის ფართობი (კვ.მ), ღირებულება (ლარი/მ.წმ), აუქციონის პირობები, თანხის გადახდის ვადები. Rows 1-39.

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში განხორციელებული მუშაობის შესახებ 2016 წელი

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში განხორციელებული მუშაობის შესახებ 2016 წლის მიმდინარე პერიოდისათვის დაფინანსდა 2 პროექტი თანხით 15410 ლარი, ხოლო 3 პროექტი გატანილია ტენდერზე. აგრეთვე მოხდა 4 საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა თანხით 7370 ლარი. ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად პირდაპირ დაეკისრათ; შ.პ.ს. „დალა 73“-ს სოფ. ფარცხნალის გზის მოხეტიალის სამუშაოების ვადის გადაცილებისათვის 32200 ლარი.

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ, 2016 წელს გატარებული მუშაობების ტექნიკური პირობები სამშენებლო მიზნის ნაკვეთის გამოყენების პირობების გაცემა 7 სამშენებლო ობიექტზე: 1) საავტომობილო გზა III კატეგორია, მარელი-სი 2) რადიოსატელეფონო სადგური ჯეოსელი ვარძია 3) საცხოვრებელი სახლი (ფარცხნალი, გიზო ბუაჩიძე) 4) გაზსადენი მილი (ჩხერი) 5) გაზსადენი მილი (თეთრწყარო) 6) გაზსადენი მილი (ახალსოფელი) 7) გაზსადენი მილი (ბაზალეთი)

სამშენებლო სარეგისტრაციო, სამონტაჟო და მიწის ნაკვეთის პროექტების შეთანხმება 14 სხვადასხვა ობიექტზე: 1) მეღვინეობის შენობა კიციხი 2) ელ. მომარაგება, დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის ქუჩა ჩიხი N 6 3) მინისქვეშა გაზსადენი დაბა ხარაგაული, ნიორაძის ქუჩა 4) ელ. მომარაგება მარტისის სკოლა 5) WIFI პოინტი ვერტკვიჭალა 6) ელ. მომარაგება სოფელი მარელი დ. ინასარიძის ობიექტი 7) ავტოსამრეცხო, დარაჯისა და მექანიკოსის ოთახი დაბა ხარაგაული სოლომონ მეფის II შესახვევი 8) რადიოსატელეფონო სადგური ჯეოსელი ვარძია 9) ელ. გადამცემი ხაზი მაგთიკომის ობიექტი ვარძია 10) საცხოვრებელი სახლი, გიზო ბუაჩიძე ფარცხნალი.

11) ელ. გადამცემი ხაზი ტელერადიოცენტრის ობიექტი მოლითი 12) ელ. გადამცემი ხაზი მაგთიკომის ობიექტი ახალსოფელი 13) ელ. გადამცემი ხაზი ტელერადიოცენტრის ობიექტი მარელი 14) საცხოვრებელი სახლის დასრულება და მანსარდის დაშენება დაბა ხარაგაული, გალაკტიონის ქუჩა 5.

შენიშვნების ნებართვის გაცემა 7 ობიექტზე 1) საავტომობილო გზა III კატეგორია, მარელი-სი 2) მეღვინეობის შენობა კიციხი 3) რადიოსატელეფონო სადგური ჯეოსელი ვარძია 4) გაზსადენი მილი (ჩხერი) 5) გაზსადენი მილი (თეთრწყარო) 6) გაზსადენი მილი (ახალსოფელი) 7) გაზსადენი მილი (ბაზალეთი)

დემონტაჟის ნებართვის გაცემა 1 ობიექტზე 1) საქვაბე, ნადაბურის სკოლა ვარძია 2) რადიოსატელეფონო სადგური ჯეოსელი სოფელი ფარცხნალი. 3) რადიოსატელეფონო სადგური ჯეოსელი სოფელი ღორეშა. 4) რადიოსატელეფონო სადგური ჯეოსელი სოფელი ვარძია. 5) ღამის განათება, სოფელი პატარა სახელარი. 6) საზოგადოებრივი სახლი, სოფელი კიციხი. ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ ყველა დაგეგმილ განსახორციელებელ პროექტზე შესაბამის სამსახურებთან და გამგებლის 2016 წლის 14 მარტის N49 333 ბრძანებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ის და შ.პ.ს-ს მიერ შესრულებული სხვადასხვა სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების შემოწმების მიზნით შექმნილი კონტროლის ჯგუფთან ერთად განხორციელდა ზედამხედველობა შესასრულებელ სამუშაოებზე და მისი მიღება ჩაბარდა. ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურმა კომპენტაციის ფარგლებში შეისწავლა და მოახდინა შესაბამის რეაგირება მუნიციპალიტეტის გამგებობაში შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებზე. სამსახურის თანამშრომლები დებულებით განსაზღვრული უფლება მოვალეობის გარდა ჩართული არიან მუნიციპალიტეტის გამგებობაში არსებულ სხვადასხვა კომისიების მუშაობაში.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებები: 1. სასოფლო გზების რეაბილიტაცია 60 პროექტი თანხით 190110 ლარი. 2. წყლის სისტემისა და წყაროების რეაბილიტაცია 42 პროექტი - 84600 ლარი. 3. სანიტარული არხების რეაბილიტაცია 12 პროექტი - 17300 ლარი. 4. ბიბლიოთეკების რეაბილიტაცია (სარგვეშო) - 13600 ლარი. 5. ნისქვილის რეაბილიტაცია 5 პროექტი - 4200 ლარი. 6. კიციხის საზოგადოებრივი სახლი -- 118 000 ლარი. 7. სარიტუალო დარბაზებისა და ინვენტარის შექმნა-რეაბილიტაცია 32 პროექტი თანხით 128300 ლარი. 8. ხიდების რეაბილიტაცია 4 პროექტი - 11000 ლარი. 9. სამშენებლო მასალები 9 პროექტი - 6250 ლარი.

საქართველოს მთავრობის დადგენილება
არსებული უძრავი ქონების საკრედიტო
ობიექტთა ნუსხა 2015 წლისათვის

დანართი 2

Table with columns: Nპროცენტი, მართლმადიდებელი ეკლესიის საკრედიტო ობიექტები, მისამართი, შენობა-ნაგებობის ფართობი კვ.მ, მიწის ფართობი კვ.მ, შენიშვნა.

საქართველოს მთავრობის დადგენილება
საქართველოში არსებული უძრავი ქონების
საკრედიტო ობიექტთა ნუსხა 2015 წლისათვის

ცხადდება ელექტრონული აუქციონი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთ-
რებაში არსებული ქონების იჯარის ფორ-
მით სარგებლობაში გადაცემისათვის.

აუქციონი დაიწყო 2016 წლის 22 ივ-
ნისს 16:00 საათზე და დასრულდება 2016
წლის 02 ივლისს 16:00 საათზე.

აუქციონი ცხადდება სოფელ ბორითის
საეკონომიკური ცენტრის იჯარის ფორმით სარ-
გებლობაში გადაცემისათვის.

ინფორმაცია განთავსებულია საქარ-
თველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახუ-
რების სააგენტოს ვებ-გვერდზე: e-auction.ge

Table with columns: N რიგი, ობიექტის მდებარეობა (მისამართი), ობიექტის ფართობი კვ.მ, შენობის ფართობი კვ.მ, ობიექტის ფაქტუალური მდგომარეობა, ქონების საკრედიტო ობიექტის მფლობელის სახელი (საქართველოს იუსტიციის მინისტრის დასახელებით), "სა" სიონის ბიჭოლაძის

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველო
დასავლეთის რეგიონის“ საკრედიტო ობიექტების ნუსხა
არსებული უძრავი ქონების საკრედიტო ობიექტთა ნუსხა 2015 წლისათვის

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“
54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის , 122—ე მუხლის მე-4, მე-6 პუნქტისა
და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების „მუნიციპალი-
ტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის,
საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგა-
რიშნორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გადაცეს
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „საქართველო დასავლეთის რეგიონის“
საკრედიტო ობიექტის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, ხარაგაულის
მუნიციპალიტეტის ბაღანსზე რიცხული დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის შესახვევი
2-ში მდებარე 772 კვმ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი /ს.კ.
36.01.31.189/, მასზე მდგარი 43.50 კვმ. ფართის შენობა - ნაგებობით.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართვე-
ლოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 — ე მუხლით დადგენილი წესით.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ლორეს მემორიალური მუზეუმისათვის“ საკრედიტო ობიექტების
ნუსხა 2015 წლისათვის

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“
54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის , 122—ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6
პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების „
მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გა-
დაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის
და ანგარიშნორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის სა-
ფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:
მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გადაცეს
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „ლორეს მემორიალური მუზეუმის“
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ 2 წლის ვადით სოფელ ლორეში მდებარე
სკვერის ფართობი 271 კვმ. რეაბილიტაციის უფლებით /ს.კ. 36.06.36.311/, საინდიფიკაციო
კოდი /443568596/

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართვე-
ლოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლით დადგენილი წესით.